საქართველოს დევნილთა სახალხო პარტია

НАРОДНАЯ ПАРТИЯ
БЕЖЕНЦЕВ ГРУЗИИ

POPULAR PARTY
OF IDPs OF GEORGIA

საქართველო, 380018, თბილისი, კ. მარჯანიშვილის 5 ტელ: 94 06 65, მობ: 899 50 06 65 ფაქსი: 93 18 24
Грузия, 380018, Тбилиси, К. Марджанишвили 5, Моб: +995 99 50 06 65; Факс: +995 32 93 18 24
#5, Marjanisvhili st., Tbilisi, 380018, Georgia, Mob: +995 99 50 06 65; Fax: +995 32 93 18 24

№ _____ "15" ივნისი 2004 წ.

პროექტი

აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული პროგრამა

წინამდებარე პროექტი ემსახურება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მოგვარებას, აფხაზეთში დევნილი მოსახლეობის და აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში აუცილებელ დაბრუნებას. ამისათვის პირველ რიგში წარმოგიდგენთ მშვიდობიან პროექტს, რომლის განხორციელების ვადა დათქმულია 2004 წლის დასასრული.

ამ პროექტით განსაზღვრული მშვიდობიანი ღონისძიებების ნებისმიერი მხარის მიზეზით ჩაშლის შემთხვევაში რჩება ერთადერთი ძალისმიერი სამხედრო გზით პრობლემის გადაწყვეტის გარდაუვალობა, რადგანაც ვთვლით, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და აფხაზეთიდან ძალისმიერი მეთოდით გამოყრილი მოსახლეობა აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ საქართველომ დათმოს აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების მზაკვრული მცდელობა. ამიტომაც ქართველი ხალხი იძულებული გახდება იარაღით ხელში დაიცვას თავისი ქვეყნის სუვერენიტეტი და აღიდგინოს შელახული ღირსება.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პრობლემების სათავეები საუკუნეების მიღმაა და ნუ დავისახავთ მიზნად მის სიღრმეებში ჩაწვდომას და ერთადერთ, ჩვენთვის მისაღები და მოსაწონი ვერსიის უტყუარ ფაქტად წარმოსახვას. აფხაზეთად წოდებული საქართველოს ამ კუთხეში ჩვენი (აფხაზებისა და ქართველების) თანაცხოვრების თითქმის ყველა დროში წარმოქმნილი კონფლიქტები უფრო ხშირად ინსპირირებული იყო გარეშე დაინტერესებული მესამე ძალის მიერ და ყოველთვის მაშინ, როდესაც საქართველო, როგორც სახელმწიფო იყო დაუძლურებული და გაღატაკებული. აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს ყველა დროში გვქონდა ურთიერთპატივისცემა და ნათესაობა. ცენტრალური ხელისუფლების ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე გამოინახებოდა ის მესამე ძალა, რომელიც გააღვივებდა შუღლს ჩვენს შორის, ხოლო ხელისუფლება ყოველთვის გამოდიოდა ხელშემწყობის როლში. ასე იყო ადრე, ასე იყო შევარდნაძის დროსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინათ საქართველოს ხელისუფლება ქართული ეროვნული მენტალიტეტის მატარებელი შაინც იყო და ის არასდროს ყოფილა ქვეყნისა და ერის მოღალატე და გარე სახელმწიფოების დაქირავებული შემსრულებელი. ყველა ჩვენგანმა იცის, რომ აფხაზეთის ტრაგედიის დამკვეთი არის რუსეთი, ხოლო ამ დაკვეთის ოსტატურად შემსრულებელი იყო ედუარდ შევარდნაძე. მან ბრწყინვალედ

შეასრულა ეს დავალება, რის საფასურად ის და მისი ოჯახი მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანების რიცხვში არიან.

აფხაზეთში არჩეული პარლამენტის ყველა წევრი და უმაღლესი საბჭოს 18 წევრიც ჩავდექით შევარდნაძის სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ თვალნათლივ ვხედავდით ქვეყნის ღალატის ყოველდღიურ ფაქტებს. გასამჯელოდ კი ვღებულობდით უმნიშვნელო პრივილეგიებს. რომელმა ჩვენგანმა არ იცოდა, რომ დეპუტატი ხალხის სამსახურში უნდა იდგეს და არა ხელისუფლების, რომ დეპუტატი ხალხთან უნდა იდგეს და არა ხელისუფლებასთან და თანაც ისეთ ხელისუფლებასთან, რომელიც ერის მოღალატეა. განა ყველა ჩვენთაგანმა არ იცის, რომ დევნილი მოსახლეობა თუ გაერთიანდა, მას შეუძლია ნებისმიერი ხელისუფალი აიძულოს უარი თქვას იმ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ჩვენ გვაშორებს აფხაზეთს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვუშლიდით ხელს დევნილთა გაერთიანებას და ვცდილობდით რომ ყველა დევნილი ჩაგვეყენებინა ხელისუფალის სამსახურში.

ჩვენი დევნილობაში ყოფნის თითოეული წუთი ტრაგიკულია. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ვარჩიოთ მტყუან-მართალი. ქვეყანაში უნდა შეიცვალოს ხელისუფლების მიდგომა აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემების გადაწყვეტისადმი. უნდა შეიცვალოს ხელისუფლების პოლიტიკური ხედვა რეგიონებისადმი. დღეს უკვე არ არის შევარდნაძის დანაშაულებრივი რეჟიმი და გავაანალიზოთ, თუ რა შედეგი მოიტანა დევნილთა მის სამსახურში ჩაყენების და დევნილთა რამდენიმე ჯგუფებად გახლეჩვის მცდელობამ. არ უნდა დავუშვათ შევარდნაძის რეჟიმის კულტივირებული დანაშაულებრივი პრაქტიკის რეანიმაცია, როდესაც ჩვენ, აფხაზეთის ქართველობას არ გვაკარებდნენ კონფლიქტის დარეგულირების პროცესს, როდესაც ამ პრობლემის ვითომ გადაწყვეტას ანდობენ კავსაძეს, ჯაბას, მაჭავარიანს, ხაინდრავას, კაკაბაძეს, ჯორბენაძეს და სხვა არაკომპეტენტურ ადამიანებს, რომლებმაც შეიძლება არც იცოდნენ რა არის აფხაზეთი. ჩვენი აფხაზეთში დაბრუნება ჩვენი გადასაწყვეტი და ჩვენი გასაკეთებელია, აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოში შემობრუნება, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ეს კარგად იცოდა შევარდნაძემ და ამიტომაც არ გვაკარებდა აფხაზეთს. ამიტომაც ჩაგვიყენა ენგურზე და სამეგრელოში რუსის მესაზღვრე ჯარი.

ჩვენ გვაქვს იმის მაგალითი, როდესაც ხელისუფალი შეიყვანეს შეცდომაში აფხაზთის ვაი პოლიტიკოსებმა; მოსკოვიდან ჩამოიყვანეს არძინბა და დაანიშნიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, როგორც ახალი აზროვნების ადამიანი ; მიაღებინეს აპარტეიდული საარჩევნო კანონი; როდესაც უმაღლესი საბჭო აირჩიეს პარტიული ნიშნით და დააკომპლექტეს მხოლოდ მრგვალი მაგიდის წევრებით. ყველა ვხედავთ თუ რა შედეგი მოგვცა ამან. დღეს იგივეს განმეორებას ვცდილობთ და აქტიურად ვუწყობთ ხელს აფხაზეთის სამუდამოდ დაკარგვას. ვერ ვხედავთ ვუთხრათ სიმართლე დღევანდელ ხელისუფლებას და ვურჩიოთ მაინც, ნუ შიანდობს აფხაზეთის საკითხებზე მსჯელობას ადამიანებს, რომლებიც წინა ხელისუფლების მიერ იყვნენ ამ თანამდებობებზე და მათი ნამოღვაწარი, დევნილთა შეფასებით, სამშობლოს ღალატის ტოლფასია. დღეს ნამდვილად არ არის მათი გადასაწყვეტი, იარსებებს თუ არა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში. ასევე არ უნდა ვეკითხებოდეთ ჩვენ მათ, თუ ვის ავირჩევთ ხელმძღვანელად და რა სახის რეორგანიზაციას ჩავატარებთ.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, არ დავუშვათ წარსულის განმეორება. ხელისუფლებისადმი მონური მორჩილებით აფხაზეთში დაბრუნება კი არა, ქრისტიანული წესით დასაფლავებაც სანატრელია ჩვენთვის.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის თავიანთ სახლებში დაბრუნებისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს

შემადგენლობაში შეერთებისა და სახელმწოფოს ტერიტორიული მთლიანობის 2004 წლის დასასრულამდე აღდგენისთვის გთავაზობთ შემდეგ პროგრამას:

1. არჩეულ იქნეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი ორი მოადგილე.
2. 2004 წლის მარტის ბოლომდე დამთავრდეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სხვა სტრუქტურების არჩევა-ჩამოყალიბება.
3. ასევე დაინიშნოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ან დაინიშნოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტატუსით დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მთავრობა, ან დროებითი ადმინისტრაცია, დაკომპლექტდეს შემდეგი სტრუქტურებით:

ა) შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახური, იუსტიციის, პროკურატურის, სასამართლოს საზედამხედველო სამსახური.

ბ) ლტოლვილთა აღრიცხვის, სოცუზრუნველყოფის, ფინანსთა და ჯანდაცვის სამსახური.

გ) განათლების და კულტურის, მასმედიასთან ურთიერთობის (ინფორმატიკის) სამსახური.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობა, მთავრობა (ან დროებითი ადმინისტრაცია), გარდა განათლების და კულტურის, მასმედიასთან ურთიერთობის (ინფორმატიკის) სამსახურისა, 2004 წლის აპრილის დასრულებამდე განლაგდეს ქ. ზუგდიდი – რუხის მიდამოებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 1700, უშიშროების სპეცდანიშნულების შემადგენლობის 300 ერთეული გაერთიანებულად დახარისხდება და ჩამოყალიბდება უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში ათასკაციან ერთეულად, რომელიც ჩაენაცვლება აფხაზეთი-სამეგრელოს ადმინისტრაციულ ზოლზე მდგარ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტად წოდებულ სამხედრო ნაწილებს. მთელი პერიმეტრი გაკონტროლდება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს ათასეულით, რითაც გაქრება აუცილებლობა ენგურს აქეთა მხარეს უცხო ქვეყნის საჯარისო შენაერთების დისლოკაციისა. აფხაზური სეპარატისტული დაჯგუფების ლიდერებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელობამ, ან საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, შესთავაზოს უსაფრთხოების გარანტია, რომ ჩვენი მხრიდან არ იქნება გამოყენებული სამხედრო ძალა. თუ მათ ჩვენი არ სჯერათ, მათ მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ენგურის იქეთა მხარეს, შეინარჩუნონ რუსეთის სამხედრო ნაწილები, მათი ამ სტატუსით საქართველოში ყოფნის საბოლოო გადაწყვეტამდე.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მთავრობა გამართავს სამშვიდობო მოლაპარაკებას აფხაზურ მხარესთან აფხაზეთის ტერიტორიაზე ან მათი სურვილით, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სამი მიმართულებით:

პირველი და ძირითადი სახალხო დიპლომატია. დევნილთა მიერ არჩეული ღირსეული და აფხაზური მხარისთვის მისაღები და სანდო ადამიანებით, როგორც უხუცესთა, ისე ახალგაზრდობის და შვილდაკარგულ დედათა შემადგენლობით.

მეორე მიმართულება პოლიტიკური ჯგუფი, დაკომპლექტებული აფხაზეთში არჩეული საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს წევრებით.

მესამე მიმართულება: ა) მეომართა კავშირის წარმომადგენლობა, საველე მეთაურებით და გამოჩენილი მეომრებით; ბ) ომის ინვალიდთა შემადგენლობა; გ)

არასამთავრობო პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებული შემადგენლობა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობა, განსაკუთრებით ხელმძღვანელობა და პრეზიდიუმი, მთავრობა (ან დროებითი ადმინისტრაცია) მოქმედებენ საგანგებო მდგომარეობაში, მათი სამუშაო ადგილები იქნება განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ, საცხოვრებელ ადგილად არჩეული იქნება ქ. ზუგდიდი და დაბა რუხი, კერძო სახლებში დროებით დაქირავებული ბინები.

უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი შინაგან "საქმეთა სამინისტროს ათასკაციანი შენაერთი ყაზარმულ რეჟიმში განლაგდება საველე პირობებში.

იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი, აფხაზეთში არჩეული საქართველოს ათივე წევრი, 2004 წლის დასასრულამდე, პატიოსნად და უანგაროდ შეასრულებს თავის მოვალეობას, იცხოვრებს აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების ცხოვრებით, მიზანი იქნება მიღწეული: ჩვენს ირგვლივ გაერთიანდება და დაირაზმება ასეულობით ათასი ადამიანი, საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვარზე გადახვეწილთა უმრავლესობაც დაბრუნდება და დადგება ჩვენთან. გაერთიანებულ და ერთად მდგომ ადამიანებს ყველაფერი შეუძლიათ. მათ შეუძლიათ ხელისუფლებასაც გააკეთებინონ ის, რაც სჭირდება ქვეყნის გადარჩენას.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო რეორგანიზაციისა და დისლოკაციის ადგილის განსაზღვრის შემდეგ მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით:

1. გამოიტანოს დადგენილება დსთ-ს ქვეყნების სამშვიდობო კონტინგენტად წოდებული რუსეთის საჯარისო ფორმირებების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ;
2. მიიღოს გადაწყვეტილება, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მონაწილეობით ჩატარდეს საქართველოში რეალურად განსახლებული დევნილი მოსახლეობის აღწერის შესახებ;
3. დევნილთა ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენის მიზნით გასცეს განკარგულება:
   ა) დევნილთა უფასო სამედიცინო მომსახურების შესახებ;
   ბ) წინა წლებში გაუცემელი ფულადი დახმარებისა და პენსიების დაუყოვნებლივი ანაზღაურების შესახებ;
   გ) ყოველგვარი გადასახადებისგან დევნილი მოსახლეობის განთავისუფლების შესახებ;
   დ) სახელმწიფო ბიუჯეტში დევნილებზე გათვალისწინებული ფულადი დახმარების სრული ოდენობით გაცემის შესახებ.

– წარმოდგენილი პროგრამის პროექტის შესრულების მიმდინარეობა განხილულ იქნას ყოველთვიურად აფხაზეთის უზენაესი საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

– აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ექვსი თვის თავზე იწვევს საგანგებო სესიას, სადაც ჩააბარებს ანგარიშს დევნილთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას პროგრამის შესრულების შესახებ.

– პროგრამის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ და აცხადებს თვითლიკვიდაციას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს მიერ მიღებული პროექტი დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქართულ-აფხაზური

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების სახელმწიფო პროგრამაში და ხელს შეუწყობს დევნილი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენას, უახლოეს ვადაში მათ კუთვნილ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას და 2004 წლის დასრულებამდე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლება-მოვალეობის კონსტიტუციურ ჩარჩოში მოქცევას, სრულ სტაბილიზაციას, ქვეყნის აღმავლობის პროცესის შეუქცევადობას.

დევნილთა სახალხო
პარტიის პოლიტსაბჭო

პროექტი წარადგინა ბ. კაკუბავამ.